



# შენაბამისთვის აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



## სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვაშტიკი“

თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტი  
დეპარტამენტის უფროსი  
გიორგი მამრიკიშვილი

*გ. მამრიკიშვილი*  
21 თებერვალი 2023 წელი

N 43/36

ეგზ. N1

გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2021-2022  
წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის  
ანგარიში

**შინაარსი**

ძირითადი ნაწილი	<p><b>ტერმინები და შემოკლებები</b> 2</p> <p><b>შემაჯამებელი მიმოხილვა</b> 3</p> <p><b>რეკომენდაციები</b> 5</p> <p><b>1. შესავალი</b> 7</p> <p><b>ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა</b> 7</p> <p><b>აუდიტორის პასუხისმგებლობა</b> 7</p> <p><b>აუდიტის საგანი</b> 7</p> <p><b>აუდიტის მასშტაბი</b> 7</p> <p><b>აუდიტის კრიტერიუმები</b> 8</p> <p><b>აუდიტის მიზანი</b> 9</p> <p><b>აუდიტის მეთოდოლოგია</b> 9</p> <p><b>ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ</b> 9</p>
დანართები	<p><b>2. აუდიტის მიგნებები</b> 10</p> <p><b>დანართები</b> 30</p> <p><b>საკონტაქტო ინფორმაცია</b> 41</p>

<b>ტერმინები და შემოკლებები</b>	<p><b>მუნიციპალიტეტი</b> – თვითმმართველი ერთეულის გარდაბნის მუნიციპალიტეტი.</p> <p><b>მერია</b> – თვითმმართველი ერთეულის, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია.</p> <p><b>საკრებულო</b> – თვითმმართველი ერთეულის, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო.</p> <p><b>ა(ა)იპ</b> – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.</p> <p><b>შპს</b> – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.</p>
---------------------------------	--

## შემაჯამებელი მიმოხილვა

### ფინანსური რესურსების მართვა

### ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

### მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფა

### მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების დაფინანსება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

#### ფინანსური რესურსების მართვაში არსებული ნაკლოვანებები

მუნიციპალიტეტში არსებობს როგორც ფინანსური რესურსების, ასევე დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის ხარვეზები. მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო არაფინანსური აქტივების ზრდის პარამეტრების სათანადოდ დაგეგმვა, რის გამოც შესაბამისი საბიუჯეტო მუხლის შესრულებას 2021-2022 წლებში, შესაბამისად, 20%<sup>1</sup> და 33%<sup>2</sup> დააკლდა. ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა დააგროვა არსებითი მოცულობის თავისუფალი ნაშთი.<sup>3</sup>

#### დაზიანებული ინფრასტრუქტურული პროექტები

მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილი კონტროლის მექანიზმი ზოგ შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფს ხარისხიანი ინფრასტრუქტურული პროექტების მიღება-ჩაბარებას და პროექტების მდგომარეობის შესახებ მერიის დროულ ინფორმირებას. სამუშაოების მონიტორინგის, მიღება-ჩაბარების და საგარანტიო ვადის ეტაპზე არსებული მართვის სისუსტეების გამო, ინფრასტრუქტურული პროექტების ნაწილი დაზიანებულია.

#### დაუსრულებელი ინფრასტრუქტურული პროექტები

შესყიდვების პროცესის კონტროლის არასათანადო მექანიზმების გამო, მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულებების შეწყვეტის შემდეგ მიღებული ზიანის საკომპენსაციოდ ვერ მიიღო, სულ – 278.3 ათასი ლარის საგარანტიო და საჯარიმო თანხები. ამასთანავე, მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული ობიექტები დაუსრულებელია.

#### გამოუყენებელი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია

ფინანსური აქტივების მართვის ხარვეზების გამო, მუნიციპალიტეტმა გასწია 97.3 ათასი ლარის არაეფექტიანი ხარჯი და შეისყიდა ისეთი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომელიც გონივრულ ვადაში არ გამოუყენებია. გარდა ამისა, არ განხორციელდა არსებითი ღირებულების სამშენებლო სამუშაოები.

#### მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფის ხარვეზები

მუნიციპალიტეტი საბიუჯეტო რესურსების მნიშვნელოვან ნაწილს ხარჯავს წყლის სისტემების მოწყობასა და რეაბილიტაციაზე. მიუხედავად ამისა, განხორციელებული ღონისძიებები მოსახლეობის წყალმომარაგების კუთხით არასაკმარისია. მოსახლეობის ნაწილს სასმელი წყალი შეფერხებით მიეწოდება, ხოლო წყლის ხარისხი ფაქტობრივად არ მოწმდება. გარდა ამისა, სასმელი წყლის მიწოდებას ახორციელებს არალიცენზირებული პირი.

#### იურიდიული პირების დაფინანსებასა და საქმიანობაში არსებული ხარვეზები

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სუბიექტების საქმიანობის და მართვის კონტროლში არსებული სისუსტეები წარმოშობს საბიუჯეტო სახსრების არარაციონალური ხარჯვის რისკებს. კერძოდ, ზოგიერთი სუბიექტის და დასაქმებულთა ფუნქცია-მოვალეობები გაურკვეველია. გარდა ამისა,

<sup>1</sup> ვერ იქნა ათვისებული 4,311.4 ლარი.

<sup>2</sup> ვერ იქნა ათვისებული 8,027.0 ლარი.

<sup>3</sup> 2021 წელს - 6,022.5 ათასი ლარი, 2022 წელს - 1,577,5 ათასი ლარი.

**წარმომადგენლობითი და  
აღმასრულებელი  
ორგანოების დაფინანსება**

საბიუჯეტო სახსრები გახარჯულია დოკუმენტური დადასტურების გარეშე. მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ-ებში არსებობს საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად ხარჯვასთან დაკავშირებული სისტემური ხარვეზები.

**ავტოპარკის მართვის ხარვეზები**

მუნიციპალიტეტის მიდგომა სატრანსპორტო ხარჯების მხრივ არარაციონალურია. ამასთანავე, საწვავის ხარჯვის პროცესში არსებული კონტროლის მექანიზმები სრულად ვერ უზრუნველყოფს მიზნობრივ და ეფექტიან გამოყენებას. აღნიშნული წარმოშობს საწვავის არასამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენების რისკებს.

**დასუფთავების მიუღებელი მოსაკრებელი**

მუნიციპალიტეტს არ გააჩნია დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელთა ბაზა და ვერ უზრუნველყოფს მოსაკრებლის სათანადო ადმინისტრირებას. შედეგად, მუნიციპალიტეტმა სრულად ვერ მიიღო დასუფთავების მოსაკრებელი, რაც უარყოფითად აისახა ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლებზე.

**მივლინების ხარჯების შეუსაბამობა**

მუნიციპალიტეტის მიერ შემუშავებული ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემები არ მოიცავს სამივლინებო ხარჯების ეფექტიანობის შეფასებას. საჯარო მოხელეების მივლინებისთვის გამოყოფილი თანხები დახარჯულია ისე, რომ მუნიციპალური საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით მივლინების შედეგების პრაქტიკაში გამოყენება დოკუმენტურად არ დასტურდება.

## რეკომენდაციები

**რეკომენდაცია №1.** მერიამ შეიმუშაოს ფინანსური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომლის საფუძველზეც განხორციელდება შემოსულობების სათანადო პროგნოზირება და ბიუჯეტში მყისიერი ასახვა. ამასთანავე, ბიუჯეტის განწერისას შეიმუშაოს კონტროლის დამატებითი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს თავისუფალი ნაშთის დაგროვების პრევენციას. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალური რესურსების ეფექტიან გამოყენებას და ბიუჯეტით დაგეგმილი პროექტების განხორციელებას.

**რეკომენდაცია №2.** მერიამ შეიმუშაოს და დანერგოს სამშენებლო სამუშაოების მიღება-ჩაბარებისა და მონიტორინგის წესი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი მოქმედი სტანდარტების დაცვით სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო კონტროლის მექანიზმი. დოკუმენტით ნათლად უნდა განისაზღვროს კონტროლის თითოეულ ეტაპზე ჩასატარებელი სამუშაოები და კონტროლის განმახორციელებელი პირები, მათი მოვალეობები და პასუხისმგებლობები. აღნიშნული ხელს შეუწყობს კონტროლის მექანიზმის გამართულ ფუნქციონირებას, პროექტის შემოწმებისათვის საჭირო ყველა პროცედურის სათანადოდ წარმართვას და ხარისხიანი პროექტების ჩაბარებას. ამასთანავე, მერიამ შეისწავლოს პროექტების დაზიანების გამომწვევი მიზეზები და უზრუნველყოს მათი აღმოფხვრა.

**რეკომენდაცია №3.** მერიამ საკრებულოსთან შეთანხმებით შეიმუშაოს სტრატეგია, რომლის ფარგლებშიც დაგეგმავს და განახორციელებს კომპლექსურ ღონისძიებებს, გონივრულ ვადაში მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესების მიზნით. სტრატეგია ასევე უნდა ითვალისწინებდეს პროცესის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას, მათ შორის, წყალმომარაგების უზრუნველყოფას შესაბამისი ლიცენზიანტი სუბიექტის მეშვეობით და როგორც წყლის, ასევე საბიუჯეტო რესურსების რაციონალურ ხარჯვას. აღნიშნული ხელს შეუწყობს მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას და წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებას.

**რეკომენდაცია №4.** მერიამ საკრებულოსთან ერთად შეიმუშაოს დაფუძნებული იურიდიული პირების მართვის სტრატეგია, რომელიც დაეფუძნება საბიუჯეტო რესურსების ეფექტიანი და ეკონომიური განკარგვის პრინციპებს. სტრატეგიის შესაბამისად განხორციელებული ღონისძიებების ფარგლებში, მერიამ შეაფასოს სუბიექტების საქმიანობის მიმართულებები და სარგებლიანობა; ასევე შეისწავლოს ორგანიზაციებში არსებული საკადრო პოლიტიკა, დასაქმებულთა ფუნქცია-მოვალეობების განსაზღვრისა და რეალური საჭიროების მხრივ. აღნიშნული ხელს შეუწყობს იურიდიული პირების საქმიანობის ეფექტიანობის ზრდასა და საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურ ხარჯვას.

**რეკომენდაცია №5.** მერიამ საკრებულოსთან შეთანხმებით განსაზღვროს კონტროლის მექანიზმები და შეიმუშაოს წესი, რითაც დარეგულირდება სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო სამორიგო ავტომატური რაოდენობა; მერიამ დანერგოს კონტროლის დამატებითი მექანიზმი(ებ)ი საწვავის არამიზნობრივად ხარჯვის პრევენციის მიზნით; ასევე მიზანშეწონილია შეიმუშაოს სათანადო პროცედურები, მათ შორის, ალტერნატიულ პროცედურად შესაძლოა განხილულ იქნეს ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ინვენტარიზაციისას უფლებამოსილი პირების მიერ დამონტაჟებული საწვავის ჩიპების მთლიანობის შემოწმება; სამორიგო

ავტომობილების სამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენების მონიტორინგის მიზნით, კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით, ასევე შესაძლოა განხილულ იქნეს საკითხი სატელიტური (GPS) ან სხვა სახის ელექტრონული კონტროლის სისტემის დანერგვის შესახებ.

**რეკომენდაცია №6.** მერიამ უზრუნველყოს დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელთა ბაზის შექმნა და წლის განმავლობაში მისაღები მოსაკრებლის ოდენობის გაანგარიშება, ასევე შეიმუშაოს და დანერგოს დასუფთავების მოსაკრებლის გადახდევინების ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსაკრებლის სახით მისაღები შემოსავლების ბიუჯეტში მობილიზებას. მათ შორის, შესაბამისი უწყებების ჩართულობით მიზანშეწონილია დაიწყოს მუშაობა მოსაკრებლის გადახდის ალტერნატიული და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვაზე, რაც შეამცირებს მოსაკრებლის ადმინისტრირებისათვის დახარჯულ რესურსს და ამასთანავე, გაზრდის ამოღების მაჩვენებელს.

**რეკომენდაცია №7.** გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიამ საკრებულოსთან შეთანხმებით, მიზანშეწონილია შეიმუშაოს შესაბამისი წესი, რომელიც უზრუნველყოფს წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევას რაციონალურად, ეკონომიურად და გამჭვირვალედ. აღნიშნული წესით უნდა განისაზღვროს სტუმრების კატეგორია, მიზანი, მიღების ფორმა, გამასპინძლების ეტიკეტი, ანგარიშსწორებისათვის წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი და კონტროლის სხვა მექანიზმები, რაც ხარჯებს გახდის საჯაროს და შედეგზე ორიენტირებულს.

**რეკომენდაცია №8.** მერიამ განახორციელოს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით, რაც უზრუნველყოფს აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების დადგენას და მათ შედარებას ორგანიზაციის სააღრიცხვო მონაცემებთან. აღნიშნულის საფუძველზე შესაძლებელი იქნება ინვენტარიზაციის შედეგების დადგენა და შესაბამისი მატერიალურად პასუხისმგებელი პირების გამოვლენა. აღნიშნული გაზრდის მუნიციპალური აქტივების დაცულობის ხარისხს.

1. შესავალი

**ხელმძღვანელობის  
პასუხისმგებლობა**

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე, ასევე, აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამობებს.

**აუდიტორის  
პასუხისმგებლობა**

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორეზე. აუდიტი წარმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4000-4899) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, რომ აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობა შეიცავს თუ არა მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტის ანგარიში არ წარმოადგენს საქმიანობის კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტიას. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამობები დარჩეს შეუმჩნეველი იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და შესრულდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტი წარმართა აუდიტორების პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, დასაბუთებული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამობების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

**აუდიტის საგანი**

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საქმიანობა.

**აუდიტის მასშტაბი**

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა გარდაბნის მუნიციპალიტეტის მიერ 2021-2022 წლებში განხორციელებული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა. გარდამავალი ხელშეკრულებებიდან და წინა აუდიტით გამოვლენილ რისკის შემცველ საკითხებთან დაკავშირებით, შესწავლილ იქნა სხვა პერიოდის დოკუმენტაციაც.



## აუდიტის კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:<sup>4</sup>

- )] საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
- )] საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი;
- )] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
- )] საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
- )] საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- )] საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“;
- )] საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“;
- )] საქართველოს კანონი „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“;
- )] საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“;
- )] საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“;
- )] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის – „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ დამტკიცების შესახებ“;
- )] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №58 დადგენილება „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“;
- )] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“;
- )] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილება „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“;
- )] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის №108 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“;
- )] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- )] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის №364 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების და ინვენტარიზაციის შედეგების საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე აღრიცხვა-ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“;
- )] სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;

<sup>4</sup> 2021-2022 წლებში მოქმედი რედაქციით.

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციები ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანება „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“;
- გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 ნოემბრის №27 დადგენილება „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“;
- გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №13 დადგენილება „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“.

**აუდიტის მიზანი**

- ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

**აუდიტის მეთოდოლოგია**

- აუდიტის საგნის შესახებ ინფორმაციის მოსამზადებლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:
- აუდიტის ობიექტების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციისა და მონაცემთა ანალიზი;
  - დოკუმენტური შემოწმება;
  - ინტერვიუები აუდიტის ობიექტების თანამშრომლებთან;
  - ადგილზე დათვალიერება.

**ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ**

გარდაბნის მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც ჰყავს წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, აქვს საკუთარი ქონება და ბიუჯეტი. მუნიციპალიტეტი აერთიანებს 19 ადმინისტრაციულ ერთეულს, 1 ქალაქსა და 43 სოფელს.<sup>5</sup> თვითმმართველი ერთეულის ფართობია 1 304,1 კვ.კმ, მოსახლეობის რიცხოვნობა<sup>6</sup> კი შეადგენს 79,75 ათასს. ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი გარდაბანი.

2021-2022 წლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანხები დახარჯულია შემდეგ პროგრამებზე: მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები – 16,294.9 ათასი ლარი, ინფრასტრუქტურის განვითარება – 37,383.4 ათასი ლარი, დასუფთავება და გარემოს დაცვა – 5,874.3 ათასი ლარი, განათლება – 17,042.6 ათასი ლარი, კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი – 11,359.5 ათასი ლარი, ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა – 9,368.8 ათასი ლარი.

<sup>5</sup> www.mreg.reestri.gov.ge

<sup>6</sup> www.geostat.ge; www.budgetmonitor.ge (2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით).

2. აუდიტის მიგნებები

**2.1 ფინანსური რესურსების მართვა**  
**2.1.1 ბიუჯეტის შესრულების ხარვეზები**

**კრიტერიუმი:** ბიუჯეტის პროექტის მომზადების, ბიუჯეტის შესრულებისა და ანგარიშგებისათვის<sup>7</sup> პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო.

მუნიციპალიტეტმა 2021-2022 წლებში პროგრამული ბიუჯეტებით დაგეგმა შემდეგი შედეგების მიღწევა: საგზაო ინფრასტრუქტურის, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავებისა და ეზოების, პარკების, გარე განათების, სპორტული მოედნების მშენებლობა და სხვ.

მუნიციპალიტეტმა უნდა დანერგოს ფინანსური მართვისა და კონტროლის<sup>8</sup> ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენებას.

**ფაქტობრივი გარემოება:** მუნიციპალიტეტის ბიუჯეტების წლიურ ანგარიშგებზე დაყრდნობით, შემოსულობებმა 2021-2022 წლებში – 90,554.3 ათასი ლარი, ხოლო გადასახდელებმა – 88,611.5 ათასი ლარი შეადგინა. ბიუჯეტის გეგმური და ფაქტობრივი მაჩვენებლები წარმოდგენილია ცხრილში №1.

**ცხრილი №1. შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება 2021-2022 წლებში (ათასი ლარი)**

დასახელება	2021 წელი			2022 წელი			საკასო შესრულების %
	დაზუსტებული გეგმა	საკასო შესრულება	შესრულების %	დაზუსტებული გეგმა	საკასო შესრულება	შესრულების %	
<b>შემოსულობები</b>	<b>37,723.6</b>	<b>43,009.5</b>	<b>114</b>	<b>46,304.1</b>	<b>47,544.8</b>	<b>103</b>	<b>90,554.3</b>
შემოსავლები	36,573.6	41,977.7	115	43,686.6	44,526.4	102	86,524.1
არაფინანსური აქტივების კლება	1,150.0	1,031.8	90	2,617.5	3,018.5	115	4,050.3
ფინანსური აქტივების კლება	-	-	-	-	-	-	-
ვალდებულებების ზრდა	-	-	-	-	-	-	-
<b>გადასახდელები</b>	<b>45,844.1</b>	<b>40,345.7</b>	<b>88</b>	<b>56,978.0</b>	<b>48,265.8</b>	<b>85</b>	<b>88,611.5</b>
ხარჯები	24,344.3	23,159.9	95	32,855.9	32,170.8	98	55,330.7
არაფინანსური აქტივების ზრდა	21,439.8	17,128.4	80	24,064.5	16,037.6	67	33,166
ფინანსური აქტივების ზრდა	-	-	-	-	-	-	-
ვალდებულებების კლება	60.0	57.5	96	57.5	57.5	100	
<b>ნაშთის ცვლილება</b>	<b>-8,120.5</b>	<b>2663.8</b>		<b>-10,673.9</b>	<b>-721.0</b>		

<sup>7</sup> საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 7, პუნქტი 1; მუხლი 77, მე-8 და მე-9 პუნქტები; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის №385 ბრძანება „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“.

<sup>8</sup> საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 6, პუნქტი 1, „გ“ ქვეპუნქტი.

2021-2022 წლებში მუნიციპალიტეტმა „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლი არასათანადოდ შეასრულა. კერძოდ, მერიამ ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებლად წლის ბოლომდე ვერ აითვისა ადგილობრივი ბიუჯეტიდან და საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხები.<sup>9</sup> შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა ვერ მიიღო პროგრამით გათვალისწინებული მოსალოდნელი შედეგები: ძირითადად, ვერ დასრულდა და დაგვიანდა საგზაო ინფრასტრუქტურის, საბავშვო ბაღების, სპორტული მოედნების და სხვა ობიექტების მშენებლობისა და რეაბილიტაციის სამუშაოები.

საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტი ფლობდა მნიშვნელოვანი მოცულობის საბიუჯეტო ნაშთებს. კერძოდ, 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტს ანგარიშზე ნაშთის სახით ერიცხებოდა 8,150.6 ათასი ლარი. აქედან, მერიამ დაგეგმა 8,120.5 ათასი ლარის ხარჯვა, თუმცა დააგროვა 2,663.8 ათასი ლარი. შესაბამისად, პერიოდის ბოლოს დაფიქსირდა 10,814.4 ათასი ლარის<sup>10</sup> ნაშთი, საიდანაც 6,022.5 ათასი ლარი თავისუფალი ნაშთია.

2022 წელს მუნიციპალიტეტმა დაგეგმა 10,637.9 ათასი ლარის გამოყენება, მაგრამ დახარჯა მხოლოდ 721.0 ათასი ლარი. შესაბამისად, წლის ბოლოსათვის საბიუჯეტო ნაშთმა 10,093.4 ათასი ლარი<sup>11</sup> შეადგინა, საიდანაც 1,577.5 ათასი ლარი თავისუფალი ნაშთია.

**დასკვნა**

მუნიციპალიტეტმა 2021-2022 წლებში ვერ უზრუნველყო ბიუჯეტით დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების დროულად განხორციელება და, ამასთანავე, დააგროვა არსებითი მოცულობის ნაშთი (მათ შორის, თავისუფალი ნაშთი). აღნიშნული მიუთითებს მუნიციპალიტეტის მფლობელობაში არსებული ფინანსური რესურსების არაეფექტიან მართვაზე.

**რეკომენდაცია №1**

მერიამ შეიმუშაოს ფინანსური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომლის საფუძველზეც განხორციელდება შემოსულობების სათანადო პროგნოზირება და ბიუჯეტში მყისიერი ასახვა. ამასთანავე, ბიუჯეტის განწერისას შეიმუშაოს კონტროლის დამატებითი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს თავისუფალი ნაშთის დაგროვების პრევენციას. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალური რესურსების ეფექტიან გამოყენებას და ბიუჯეტით დაგეგმილი პროექტების განხორციელებას.

**2.2 ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

**2.2.1 დაზიანებული ინფრასტრუქტურული პროექტები**

**კრიტერიუმი:** მუნიციპალიტეტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების შესაბამისად, მიმწოდებელმა სამუშაო უნდა შეასრულოს ჯეროვნად, სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის, ტექნიკური დავალების და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი სამშენებლო ნორმების დაცვით. სამუშაოს საგარანტიო ვადის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას ხარვეზები.

**ფაქტობრივი გარემოება:** 2021-2022 წლებში მუნიციპალიტეტმა შეისყიდა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული სამუშაო. აუდიტის ჯგუფმა

<sup>9</sup> დაგვიანდა შესყიდვის პროცესი, გაიზარდა სამუშაოების მიწოდების ვადა, სამუშაოები არ დასრულდა ხელშეკრულებების შეწყვეტის გამო და სხვ.

<sup>10</sup> 2021 წლის მთლიანი საბოლოო ნაშთი შეადგენს წლიური შემოსულობების 25%-ს.

<sup>11</sup> 2022 წლის მთლიანი საბოლოო ნაშთი შეადგენს წლიური შემოსულობების 21%-ს.

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა აღნიშნული პროექტები. გამოვლინდა, რომ 9 ინფრასტრუქტურული ობიექტი, რომელთა საერთო ღირებულება – 1,618.8 ათასი ლარია, დაზიანებულია და აღნიშნება ხარვეზები. კერძოდ, დაზიანებულია საბავშვო ბაღები, საგზაო და სხვა დანიშნულების ინფრასტრუქტურული ობიექტები (იხ. დანართი №1).

მუნიციპალიტეტში დანერგილი პრაქტიკის შესაბამისად, შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარებას და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას აკონტროლებდა სამუშაოს მიმღები კომისია.<sup>12</sup> ხელშეკრულებით ასევე განსაზღვრული იყო სამუშაოების მიღება-ჩაბარება საექსპერტო ან/და ტექნიკური ზედამხედველის<sup>13</sup> მიერ გაცემული დასკვნების საფუძველზე, რითაც დასტურდებოდა შესრულებული სამუშაოების მოცულობა, ხარისხი და შესრულების ვადები. წარმოდგენილი ინფორმაციით, მუნიციპალიტეტმა ობიექტები ჩაიბარა დადებითი საექსპერტო დასკვნების საფუძველზე.

როგორც გამოვლინდა, მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილი კონტროლის პროცედურები ზოგიერთ შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფდა სათანადო რწმუნებას სამუშაოების ხარისხის მოქმედ სტანდარტებთან და ნორმებთან შესაბამისობაზე. შედეგად, ობიექტები დაზიანებულია და საჭიროებს დამატებით რეაბილიტაციას. მერიას არ დაუდგენია ხარვეზების გამომწვევი მიზეზები, შესაბამისი პასუხისმგებელი პირები/ორგანიზაციები და არ გაუტარებია სათანადო ღონისძიებები.

აღსანიშნავია, რომ დათვალიერების მომენტისათვის დაზიანებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს ჰქონდათ მოქმედი საგარანტიო ვადა, რომლის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებული იყო საკუთარი ხარჯებით გამოესწორებინა ექსპლოატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზები. მუნიციპალიტეტმა მიმწოდებლებს ხარვეზების გამოსწორების მოთხოვნით მიმართა 6 შემთხვევაში, თუმცა ხარვეზები არ გამოსწორებულა.

## დასკვნა

მუნიციპალიტეტმა ვერ დანერგა კონტროლის შესაფერისი პროცედურები და პროცესები ვერ წარმართა იმგვარად, რომ მიეღო სათანადო ხარისხის ინფრასტრუქტურული პროექტები. შედეგად, მერიამ ჩაიბარა 1,618.8 ათასი ლარის ღირებულების ისეთი ობიექტები, რომლებიც ექსპლოატაციაში მიღებიდან მოკლე დროში დაზიანდა და საჭიროებს დამატებით რეაბილიტაციას. მუნიციპალიტეტმა არ დაადგინა დაზიანების გამომწვევი მიზეზები და არ გაატარა შესაბამისი ღონისძიებები.

## რეკომენდაცია №2

მერიამ შეიმუშაოს და დანერგოს სამშენებლო სამუშაოების მიღება-ჩაბარებისა და მონიტორინგის წესი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი მოქმედი სტანდარტების დაცვით სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო კონტროლის მექანიზმი. დოკუმენტით ნათლად უნდა განისაზღვროს კონტროლის თითოეულ ეტაპზე ჩასატარებელი სამუშაოები და კონტროლის განმახორციელებელი პირები, მათი მოვალეობები და პასუხისმგებლობები. აღნიშნული ხელს შეუწყობს კონტროლის მექანიზმის გამართულ ფუნქციონირებას, პროექტის შემოწმებისათვის საჭირო ყველა პროცედურის

<sup>12</sup> მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე იქმნება მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების მიმღები კომისია.

<sup>13</sup> 50.0 ათას ლარზე მეტი ღირებულების სამუშაოებს ამოწმებდა შპს „ოპტიმალ გრუპ +“.

სათანადოდ წარმართვას და ხარისხიანი პროექტების ჩაბარებას. ამასთანავე, მერიამ შეისწავლოს პროექტების დაზიანების გამომწვევი მიზეზები და უზრუნველყოს მათი აღმოფხვრა.

## 2.2.2 დაუსრულებელი ინფრასტრუქტურული პროექტები

**კრიტერიუმი:** მოქმედი კანონმდებლობით,<sup>14</sup> გარანტიის მოთხოვნა გამოიყენება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით. ამასთანავე, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაზრდისას მიმწოდებელი ვალდებულია, შესაბამისად გაზარდოს საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი არ შეასრულებს ხელშეკრულების პირობებს, მუნიციპალიტეტი ვალდებულია მოითხოვოს საბანკო გარანტიის თანხის ანაზღაურება. საბანკო გარანტიის მოთხოვნა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს შესაბამისი საჯარიმო სანქციების გავრცელებისგან.

შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლების მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.<sup>15</sup> პირგასამტეხლოს გადახდა, ისევე როგორც ხელშეკრულების სხვა პირობების შესრულება, მხარეებისათვის სავალდებულოა.

**ფაქტობრივი გარემოება:** 2021-2022 წლებში მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტებისა და სახელშეკრულებო ვალდებულებების მართვის პროცესი რიგ შემთხვევებში მიმდინარეობდა ხარვეზებით. შედეგად მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები დაუსრულებელია, ხოლო ბიუჯეტში არ არის გადახდილი ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო და საგარანტიო თანხები, კერძოდ:

1) დაუსრულებელია 5 ინფრასტრუქტურული ობიექტი, რომელთა სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 903.7 ათას ლარს. მიმწოდებელმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებიდან შეასრულა მხოლოდ 398.0 ათასი ლარის სამუშაო (იხ. დანართი №2). წარმოდგენილი მონაცემებით, მიმწოდებლები არ ასრულებდნენ სამუშაოებს და მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდნენ სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკს. მუნიციპალიტეტმა დროული რეაგირების ნაცვლად, ხელშეკრულებები შეწყვიტა ვადის ამოწურვიდან 3-8 თვის შემდეგ.<sup>16</sup> 5 ინფრასტრუქტურული პროექტიდან ახალი ტენდერი გამოცხადდა მხოლოდ 1 სამუშაოზე,<sup>17</sup> ხოლო 4 ობიექტი დაუსრულებელია.<sup>18</sup> მუნიციპალიტეტს სამუშაოების გასაგრძელებლად შესაბამისი ღონისძიებები არ გაუტარებია;

2) მიმწოდებლებს ხუთივე ხელშეკრულების ფარგლებში გეგმა-გრაფიკის დარღვევის გამო, დაერიცხათ პირგასამტეხლო – 196.0 ათასი ლარის ოდენობით,<sup>19</sup> რომელიც არ არის გადახდილი. აუდიტის ჯგუფის მიერ საკითხით დაინტერესების შემდეგ, მუნიციპალიტეტმა გადაუხდელი

<sup>14</sup> საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 21, მე-2 და 3<sup>1</sup> პუნქტები.

<sup>15</sup> საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 7, პუნქტი 1, „დ“ ქვეპუნქტი.

<sup>16</sup> NAT210014663 - სამუშაოების მიწოდების ვადად განსაზღვრული იყო 2022 წლის 16 აპრილი, ხელშეკრულება შეწყდა 2022 წლის 23 სექტემბერს. NAT210010412 - მიწოდების ვადა 2021 წლის 27 აგვისტო, ხელშეკრულება შეწყდა 2022 წლის 14 მარტს. NAT210009706 - მიწოდების ვადა 2021 წლის 24 სექტემბერი, ხელშეკრულება შეწყდა 2021 წლის 14 მარტს. NAT210017460 - მიწოდების ვადა 2022 წლის 2 თებერვალი, შეწყდა 2022 წლის 23 სექტემბერს. NAT220005364 - მიწოდების ვადა 2022 წლის 9 ივლისი, შეწყდა 2022 წლის 31 ოქტომბერს.

<sup>17</sup> NAT210009706.

<sup>18</sup> 2023 წლის ივლისის მდგომარეობით დაუსრულებელია: NAT210014663; NAT210010412; NAT210009706; NAT210017460.

<sup>19</sup> შპს „გია კონსტრაქშენი“ - დაეკისრა პირგასამტეხლო 93979 ლარი, NAT210010412 შპს „ანა-გი“ - 19458 ლარი, NAT210009706 შპს „ანა-გი“ - 26050 ლარი, შპს „ურიში“ - 53198 ლარი, შპს „ჯ.ს.ბ. საქართველო“ - 3273 ლარი.

პირგასამტეხლოს მისაღებად 3 კომპანიის მიმართ<sup>20</sup> შეიტანა სარჩელი სასამართლოში, ხოლო დანარჩენი 2 კომპანიის მიმართ, შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები არ გაუტარებია;<sup>21</sup>

მერამ ერთ-ერთი ხელშეკრულების<sup>22</sup> ფარგლებში 2021 წელს შპს „გია კონსტრაქშენისაგან“ შეისყიდა სოფელ მარტყოფში ყოფილი ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაციის სამუშაოები, ღირებულებით – 504.7 ათასი ლარი. სამუშაოების მიწოდების ვადად განისაზღვრა 2022 წლის 16 აპრილი. მიმწოდებელმა სს „არდი დაზღვევის“ საბანკო გარანტიის საფუძველზე ავანსის სახით მიიღო 104.4 ათასი ლარი. საწარმომ სამუშაოები ვერ დაასრულა, რის გამოც 2022 წლის 23 სექტემბერს (სამუშაოების დასრულების ვადიდან 5 თვის შემდეგ) ცალმხრივად შეუწყდა ხელშეკრულება. მუნიციპალიტეტმა დააგვიანა რეაგირება და ვერ მიიღო ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული საავანსო და ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია, სულ – 82.4 ათასი ლარის ოდენობით, კერძოდ:

- ✓ ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, მუნიციპალიტეტმა სადაზღვევო კომპანიას მოსთხოვა დარჩენილი ავანსის – 56.3 ათასი ლარის ანაზღაურება. სადაზღვევო კომპანიამ მუნიციპალიტეტს თანხა არ აუნაზღაურა.<sup>23</sup> აღსანიშნავია, რომ სს „არდი დაზღვევის“ მიერ გაცემული იყო უპირობო გამოუთხოვადი საბანკო გარანტია. შესაბამისად, კომპანია ვალდებული იყო მუნიციპალიტეტის პირველივე მოთხოვნის საფუძველზე გადაეხადა საავანსო თანხა. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიამ თანხა არ აანაზღაურა, მუნიციპალიტეტს სადაზღვევო კომპანიის მიმართ სამართლებრივი ღონისძიებები არ გაუტარებია;
- ✓ ხელშეკრულების პირობები ითვალისწინებდა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას, თანხით – 26.1 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტმა დროულად არ მოითხოვა საგარანტიო დოკუმენტების განახლება და ხელშეკრულების შეწყვეტისას მათი მოქმედების ვადა ამოწურული იყო. შესაბამისად, ვერ შეძლო საგარანტიო თანხის მიღება;
- ✓ ხელშეკრულების პირობების და გეგმა-გრაფიკის დარღვევისათვის მიმწოდებელს დაერიცხა 94.0 ათასი ლარის სანქცია.<sup>24</sup> საჯარიმო თანხა მიმწოდებლის მიერ გადახდილი არ არის. თანხის მისაღებად მუნიციპალიტეტს შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები არ გაუტარებია.

აღსანიშნავია, რომ მიმწოდებელმა მუნიციპალიტეტის მიერ დადასტურებული 240.5 ათასი ლარის სამუშაოების გარდა, ხელშეკრულების შეწყვეტამდე შეასრულა სხვა სამუშაოებიც. მუნიციპალიტეტი აღნიშნულ სამუშაოებს ვერ

<sup>20</sup> შპს „ანა-გი“ (2 ხელშეკრულება) და შპს „ჯ.ს.ბ. საქართველო“.

<sup>21</sup> შპს „გია კონსტრაქშენი“ და შპს „ურიში“.

<sup>22</sup> NAT210014663. ხელშეკრულება №139, 2021 წლის 19 ოქტომბერი.

<sup>23</sup> სს „არდი დაზღვევის“ პასუხის მიხედვით, მიმწოდებელს 240.5 ათასი ლარის სამუშაოების გარდა დამატებით კიდევ ჰქონდა შესრულებული სამშენებლო სამუშაოები. თანხის ანაზღაურებისთვის მოითხოვა შესრულებული სამუშაოების საბოლოო ღირებულების დადგენას. მუნიციპალიტეტი აღნიშნულ სამუშაოებს ვერ იბარებდა, რადგან მიმწოდებლის მიერ არ იყო წარმოდგენილი სამუშაოების შესრულების პროცესში გამოყენებული მასალის ხარისხის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტები.

<sup>24</sup> 2022 წლის 23 სექტემბერი.

იბარებდა, რადგან მიმწოდებლის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად არ ჰქონდა წარმოდგენილი გამოყენებული მასალების ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტები. აუდიტის ჯგუფის მიერ საკითხით დაინტერესების შემდეგ, მუნიციპალიტეტმა საზედამხედველო კომპანიისაგან მოითხოვა ობიექტის ინვენტარიზაციის საბოლოო ანგარიშის შედგენა.<sup>25</sup> დადგინდა, რომ ჩაუბარებელი სამუშაოების ღირებულება შეადგენს 142.2 ათას ლარს,<sup>26</sup> რაზეც შპს „გია კონსტრაქშენთან“ 2023 წლის 18 მაისს გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული თანხიდან მიმწოდებელს დაუკავდება პირგასამტეხლო და ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის თანხები, ხოლო საავანსო თანხის მისაღებად მიმართა სასამართლოს.<sup>27</sup>

## დასკვნა

ინფრასტრუქტურული პროექტების მართვაში არსებული სუსტი კონტროლის მექანიზმების გამო, მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები დაუსრულებელია. ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულებების შეწყვეტის შემდეგ მიღებული ზიანის საკომპენსაციოდ ვერ მიიღო 278.3 ათასი ლარის საგარანტიო და საჯარიმო თანხები.<sup>28</sup>

### 2.2.3 გამოყენებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია

**კრიტერიუმი:** შემსყიდველი ორგანიზაცია შესყიდვებს ახორციელებს წინასწარ დამტკიცებული გეგმის შესაბამისად. შესყიდვების წლიური გეგმის<sup>29</sup> პროექტის შემუშავების დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს შესყიდვის განხორციელების აუცილებლობა.

მუნიციპალიტეტმა უნდა დანერგოს მართვისა და კონტროლის<sup>30</sup> სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სახსრებისა და რესურსების ეფექტიანად გამოყენებას.

**ფაქტობრივი გარემოება:** მუნიციპალიტეტმა 2021-2022 წლებში შეისყიდა 660.0 ათასი ლარის ღირებულების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, ინფრასტრუქტურული ობიექტების მოწყობა-რეაბილიტაციისთვის. აქედან, 97.3 ათასი ლარის ღირებულების 6 პროექტის გამოყენების მიზნით, მერიას 2021-2022 წლებში შესყიდვები არ განუხორციელებია. აღნიშნული დოკუმენტაციით გათვალისწინებული იყო 8,090.0 ათასი ლარის სავარაუდო ღირებულების ინფრასტრუქტურული ობიექტების, კერძოდ, გზების, ნაპირსამაგრი, გარე განათებისა და სპორტული ობიექტების მოწყობა/რეკონსტრუქცია.

არსებობს რისკი, რომ დროთა განმავლობაში საქონლის საბაზრო ღირებულებისა და შესაბამისად, ერთეული ფასების ცვლილების გამო, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია გახდეს მოქმედ ფასებთან შეუსაბამო და კორექტირებისათვის საბიუჯეტო თანხები დამატებით დაიხარჯოს.

პასუხისმგებელი პირის განმარტებით, პროექტების გამოყენებლობის მიზეზია არასაკმარისი ფინანსური რესურსი. აღნიშნული პოზიციით მუნიციპალიტეტი

<sup>25</sup> 2023 წლის 22 მარტი.

<sup>26</sup> ამჯერად მიმწოდებელმა წარმოადგინა მასალების ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტები.

<sup>27</sup> მუნიციპალიტეტმა სასამართლოს მიმართა საავანსო თანხის 27.8 ათასი ლარის მისაღებად. აღნიშნული თანხა წარმოადგენს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ დარჩენილ საავანსო თანხას.

<sup>28</sup> ავანსის უზრუნველყოფის გარანტია 56270 ლარი, ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია 26100 ლარი, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლო 195955 ლარი.

<sup>29</sup> საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 9, პუნქტი 1; პუნქტი 6, „ა“ ქვეპუნქტი.

<sup>30</sup> საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 6, პუნქტი 1, „გ“ ქვეპუნქტი.



ადასტურებს, რომ ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვის ეტაპი ხორციელდება ხარვეზებით. კერძოდ, მუნიციპალიტეტს აღნიშნულ ეტაპზე უნდა განესაზღვრა პროექტის რეალური საჭიროება, სავარაუდო ღირებულება, დაფინანსების წყარო და მხოლოდ ამის შემდეგ განეხორციელებინა საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვის პროცედურები. ამასთანავე, წარმოდგენილი არგუმენტი შეუსაბამოა, რადგან თავისუფალი ნაშთის ფარგლებში მუნიციპალიტეტს შეეძლო დაეფინანსებინა შეძენილი პროექტების უმეტესი ნაწილი.

## დასკვნა

ფინანსური აქტივების მართვის ხარვეზების გამო, მუნიციპალიტეტმა გასწია 97.3 ათასი ლარის არაეფექტიანი ხარჯი და შეისყიდა ისეთი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომელიც გონივრულ ვადაში არ გამოუყენებია. გარდა ამისა, არ განხორციელდა არსებითი ღირებულების სამშენებლო სამუშაოები.

## 2.3 მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფა

**კრიტერიუმი:** მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებებია: წყალმომარაგებისა და წყალარინების უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტი მომსახურებას ახორციელებს შესაბამისი ლიცენზიანტი კერძო სამართლის სუბიექტების<sup>31</sup> საშუალებით. კანონმდებლობის<sup>32</sup> მიხედვით, სასმელი წყალი უნდა იყოს უსაფრთხო, უვნებელი და აკმაყოფილებდეს ქვეყანაში მოქმედ სტანდარტებს. სასმელი წყლის მიწოდებელი ორგანიზაცია ვალდებულია აწარმოოს წყლის ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მაჩვენებლებთან შესაბამისობის კონტროლი და მონიტორინგი, მიღებული მონაცემების აღრიცხვა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

**ფაქტობრივი გარემოება:** 2021-2022 წლების ბიუჯეტის მიხედვით, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, რისთვისაც აღნიშნულ პერიოდში 1,159.8 ათასი ლარია გახარჯული.

აუდიტის ჯგუფმა, მერიის მიერ წარმოდგენილ მასალებზე დაყრდნობით და შესრულებული სამუშაოების ვიზუალური დათვალიერებით, შეისწავლა მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების ზოგადი მდგომარეობა. საანგარიშო პერიოდში ქალაქ გარდაბნისა და მუნიციპალიტეტის 18 სოფელში მოსახლეობისთვის სასმელი წყლის მიწოდებას უზრუნველყოფს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“. 20 სოფელში მცხოვრები 9,283 ოჯახის წყალმომარაგებას ემსახურება მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ – გარდაბანსერვისი, რომელიც არ ფლობს კანონით განსაზღვრულ ლიცენზიას. აღნიშნულ 20 სოფელში მოსახლეობას წყალი მიეწოდება გრაფიკით, ხოლო დანარჩენი 5 სოფლის 5,428 ოჯახისათვის წყლის სისტემები არ არის მოწყობილი (სარგებლობენ ბუნებრივი წყაროებით). 2021-2022 წლებში ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოფლების მოსახლეობის წყალმომარაგების უზრუნველყოფის მიზნით სულ გაწეულია 1,159.8 ათასი ლარის ხარჯი.

მუნიციპალიტეტის მიერ მოწყობილი წყლის სისტემა, ასევე ჭაბურღილები და სათავე ნაგებობები, საიდანაც მოსახლეობას წყალი მიეწოდება, არ არის

<sup>31</sup> „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 16, პუნქტი 2, „თ“ ქვეპუნქტი; მუხლი 163, პუნქტი 1.

<sup>32</sup> საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №58 დადგენილება „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“.

## დასკვნა

აღჭურვილი გამწმენდი ნაგებობებით და წყლის დაქლორვის საშუალებებით, არ ტარდება წყლის სისტემატური ლაბორატორიული შემოწმება სასმელად ვარგისიანობის შესახებ. მიუხედავად ამისა, პრობლემის მოსაგვარებლად მუნიციპალიტეტს შესაბამისი ღონისძიებები არ აქვს გატარებული.

თვითმმართველ ერთეულში არსებობს მოსახლეობის წყალმომარაგების სისტემური პრობლემა: მუნიციპალიტეტში არ ფუნქციონირებს შესაბამისი პროფილის პასუხისმგებელი სუბიექტი; მოსახლეობის ძირითად ნაწილს სასმელი წყალი ცენტრალიზებულად არ მიეწოდება, ხოლო მიწოდებული წყალი არ იწმინდება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საქმიანობა მოსახლეობისათვის სასმელი წყლის მიწოდებისა და ხარისხის უზრუნველსაყოფად არასაკმარისია.

## რეკომენდაცია №3

მერიამ საკრებულოსთან შეთანხმებით შეიმუშაოს სტრატეგია, რომლის ფარგლებშიც დაგეგმავს და განახორციელებს კომპლექსურ ღონისძიებებს, გონივრულ ვადაში მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესების მიზნით. სტრატეგია ასევე უნდა ითვალისწინებდეს პროცესის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას, მათ შორის, წყალმომარაგების უზრუნველყოფას შესაბამისი ლიცენზიანტი სუბიექტის მეშვეობით და როგორც წყლის, ასევე საბიუჯეტო რესურსების რაციონალურ ხარჯვას. აღნიშნული ხელს შეუწყობს მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას და წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებას.

## 2.4 იურიდიული პირების მართვა

### 2.4.1 იურიდიული პირების დაფინანსებასა და საქმიანობაში არსებული ხარვეზები

**კრიტერიუმი:** მუნიციპალიტეტს თავისი საქმიანობის კოორდინაციის მიზნით, უფლება აქვს, დააფუძნოს ა(ა)იპ, რომელიც ორგანიზებას გაუწევს მისი უფლებამოსილების სფეროში განსახორციელებელ ერთობლივ ღონისძიებებს.<sup>33</sup>

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, დაწესებულების ხელმძღვანელმა ორგანიზაციაში და მის დაქვემდებარებულ ყველა ერთეულში უნდა დანერგოს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემა. აღნიშნული უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ ორგანიზაციაში უზრუნველყოფილ იქნეს ფულადი სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენება. დაწესებულების ხელმძღვანელი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, დაკისრებული მოვალეობის ეფექტიანად შესასრულებლად, შეიმუშავებს და აყალიბებს ოპტიმალურ ორგანიზაციულ სტრუქტურას.<sup>34</sup>

**ფაქტობრივი გარემოება:** 2021-2022 წლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 28.7%-ს სუბსიდია შეადგენდა. „სუბსიდიის“ მუხლით დაფინანსებულია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ები და მათზე გაწეულია 25,411.7 ათასი ლარის<sup>35</sup> ხარჯი.

წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლით გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტის საქმიანობა იურიდიული პირების მართვის მხრივ, მიმდინარეობდა მნიშვნელოვანი ხარვეზებით, კერძოდ:

<sup>33</sup> „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 20, პირველი და მე-2 პუნქტები.

<sup>34</sup> საქართველოს კანონი „სახელმწიფოს შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“; მუხლი 6, პუნქტი 1, „გ“ ქვეპუნქტი; პუნქტი 2; მუხლი 8, პუნქტი 1, „ვ“ ქვეპუნქტი.

<sup>35</sup> 2021 წელს - 11,406.2 ათასი ლარი, ხოლო 2022 წელს - 14,005.5 ათასი ლარი. 2021 წელს იურიდიულ პირებში დასაქმებული იყო 1272 პირი, ხოლო 2022 წელს - 1364 პირი.

- ✓ მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ – გარდაბნის მუნიციპალიტეტის მეგობრობის ცენტრი, რომლის სუბსიდიამ 2021-2022 წლებში 267.2 ათასი ლარი შეადგინა. 2021 წელს ა(ა)იპ-ში დასაქმებული იყო – 20, ხოლო 2022 წელს – 17 პირი. აღსანიშნავია, რომ მიღებული სუბსიდიის 98.7% მოსამსახურეთა ხელფასებსა და ადმინისტრაციის შენახვაზე დაიხარჯა,<sup>36</sup> დანარჩენი 1.3% – კულტურული ღონისძიებების ხარჯია. ა(ა)იპ-ის პასუხისმგებელი პირების განმარტებიდან ირკვევა, რომ მოსამსახურეები მონაწილეობას იღებენ მუნიციპალიტეტში ჩატარებულ სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებში, თუმცა მათი ფუნქცია-მოვალეობები და კონკრეტული აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტები ვერ მოიპოვა აუდიტის ჯგუფმა და ვერც მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტში ჩატარებული კულტურული ღონისძიებების ორგანიზატორია მერიის შესაბამისი სამსახური და ღონისძიებების დაგეგმვას, დაფინანსებასა და შესყიდვას მერია ახორციელებს;
- ✓ მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულმა ა(ა)იპ – გარდაბანსერვისმა 2021-2022 წლებში დაფინანსების სახით მიიღო 2,632.6 ათასი ლარი. შრომის ანაზღაურების სახით გაცემულია 1,604.5 ათასი ლარი. ა(ა)იპ-ის ფუნქციებია სასმელი წყლის, ჭაბურღილების, სატუმბი სადგურების, შენობა-ნაგებობების, პარკების, სკვერებისა და სანიაღვრე არხების მოვლა-პატრონობა. ა(ა)იპ სამუშაოებს ასრულებს შემოსული წერილების ან მერიიდან მიღებული დავალების საფუძველზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემოწმებით გაირკვა, რომ სამუშაოები სრულდება დეფექტური აქტების, ხარჯთაღრიცხვებისა და ფორმა №2-ის შედგენის გარეშე. კერძოდ, საჭიროების შემთხვევაში სუბიექტი შეიძენს შესაბამის სამშენებლო მასალებს, ხოლო სამუშაოს ასრულებენ ა(ა)იპ-ში დასაქმებულები. სულ 2021-2022 წლებში ა(ა)იპ-ის მიერ შეძენილია 152.8 ათასი ლარის სამშენებლო და სამეურნეო საქონელი. იმის გამო, რომ არ ხორციელდება შესაბამისი დოკუმენტაციის შედგენა, აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო რწმუნება, რამდენად შეესაბამება გაწეული დანახარჯები ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მოცულობებს.

**დასკვნა**

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სუბიექტების საქმიანობის და მართვის კონტროლში არსებული სისუსტეები წარმოშობს საბიუჯეტო სახსრების არარაციონალური ხარჯვის რისკებს. კერძოდ, ა(ა)იპ-ებში დასაქმებულთა ფუნქცია-მოვალეობები გაურკვეველია. გარდა ამისა, საბიუჯეტო სახსრები გახარჯულია დოკუმენტური დადასტურების გარეშე.

**რეკომენდაცია №4**

მერიამ საკრებულოსთან ერთად შეიმუშაოს დაფუძნებული იურიდიული პირების მართვის სტრატეგია, რომელიც დაეფუძნება საბიუჯეტო რესურსების ეფექტიანი და ეკონომიური განკარგვის პრინციპებს. სტრატეგიის შესაბამისად განხორციელებული ღონისძიებების ფარგლებში, მერიამ შეაფასოს სუბიექტების საქმიანობის მიმართულებები და სარგებლიანობა; ასევე შეისწავლოს ორგანიზაციებში არსებული საკადრო პოლიტიკა, დასაქმებულთა ფუნქცია-მოვალეობების განსაზღვრისა და რეალური საჭიროების მხრივ. აღნიშნული

<sup>36</sup> მოსამსახურეთა ხელფასი - 246.1 ათასი ლარი, ადმინისტრაციის შენახვის სხვა ხარჯი - 17.5 ათასი ლარი.

ხელს შეუწყობს იურდიული პირების საქმიანობის ეფექტიანობის ზრდასა და საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურ ხარჯვას.

## 2.5 წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება

### 2.5.1 შრომითი ხელშეკრულებებით დაქირავების ნაკლოვანებები

**კრიტერიუმი:** მუნიციპალიტეტს უფლებამოსილებების განხორციელებისას, გარდა შტატით გათვალისწინებული პირებისა, შეუძლია დაიქირაოს მოსამსახურეები შრომითი ხელშეკრულებით,<sup>37</sup> რომელთაც საჯარო სამსახურის განხორციელებისთვის შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მინიჭებული აქვთ საჯარო დაწესებულების დამხმარე ან არამუდმივი ამოცანების შესრულების უფლებამოსილება. გარდაბნის მუნიციპალიტეტსა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებს შორის ურთიერთობები და უფლებამოვალეობები რეგულირდება მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.

**ფაქტობრივი გარემოება:** 2021-2022 წლებში თვითმმართველი ერთეული უფლებამოსილებების განხორციელების პროცესში იყენებდა დაქირავებულ შრომას. 2021 წელს მუნიციპალიტეტში შრომითი ხელშეკრულებით მომუშავე პირთა რაოდენობა სხვადასხვა თვეში იცვლებოდა 48-დან 55 დაქირავებულამდე, რაც შტატით დასაქმებულთა რაოდენობის 21-25%-ს შეადგენს. 2022 წელს მათი რაოდენობა მერყეობდა 64-დან 82 მოსამსახურემდე, რაც შტატით დასაქმებულთა რაოდენობის 29-37%-ია. შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებზე, გასამრჯელოს სახით, სულ გაცემულია 1,705.4 ათასი ლარი.

დასაქმებულთა დაქირავების პროცესის შესწავლით გამოვლინდა, რომ შრომითი ხელშეკრულებით დანიშნული პირების ფუნქციები ძირითადად შტატით განსაზღვრული მოხელეების მოვალეობების იდენტურია<sup>38</sup> და არ წარმოადგენს დამხმარე ან არამუდმივ სამუშაოებს. ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა დოკუმენტური მტკიცებულებები დასაქმებულთა რიცხოვნობის გაზრდის აუცილებლობისა და მათ მიერ გაწეული საქმიანობის ეფექტიანობის შესახებ.

### დასკვნა

მუნიციპალიტეტების მიერ დაქირავებული შრომის გამოყენების პრინციპი არ შეესაბამება საბიუჯეტო რესურსების ეკონომიურად ხარჯვის ვალდებულებას. მუნიციპალიტეტის მიერ შრომითი ხელშეკრულებებით დასაქმებულთა რაოდენობა გაზრდილია საჭიროების დასაბუთების გარეშე.

### 2.5.2 ავტოპარკის მართვის ხარვეზები

**კრიტერიუმი:** საქართველოს მთავრობის დადგენილების<sup>39</sup> მიხედვით, 2021-2022 წლებში მუნიციპალიტეტისათვის სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად რეკომენდებული იყო 7-8 სამორიგეო ავტომანქანა.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ეთხოვათ მუნიციპალური ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის თაობაზე მიიღონ ნორმატიული აქტი,

<sup>37</sup> საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, მუხლი 3, „ვ“ ქვეპუნქტი.

<sup>38</sup> ინფრასტრუქტურის, მშენებლობისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის პროექტების კოორდინატორი; კონსულტანტი - სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დაგეგმვისა და შემუშავების მიმართულებით; ინფრასტრუქტურის, მშენებლობისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის კონსულტანტი; „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გათვალისწინებული პროექტების კოორდინატორი და სხვ.

<sup>39</sup> საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 5.

შესაბამისი დადგენილებით<sup>40</sup> განსაზღვრული წესისა და პრინციპების შესაბამისად.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო პრიორიტეტულად მიიჩნევს საწვავით გამართვა განხორციელდეს აგაი<sup>41</sup> სისტემის გამოყენებით, ვინაიდან სხვა საშუალებები ვერ უზრუნველყოფს საწვავის ხარჯვაზე სათანადო კონტროლს. გასათვალისწინებელია ასევე, რომ მოხელის შვებულების<sup>42</sup> დროს მისი სამსახურებრივი უფლებამოსილება ჩერდება.

**ფაქტობრივი გარემოება:** საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტი „ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის შესახებ“, თვითმმართველობებისათვის სარეკომენდაციო ხასიათისაა, თუმცა საბიუჯეტო სახსრების რაციონალური და გონივრული ხარჯვის პრინციპიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მისი შესრულება. მიუხედავად ამისა, მერიამ ვერ წარმოადგინა რეკომენდაციის შესაბამისად მიღებული სამართლებრივი აქტი.

2021-2022 წლებში მუნიციპალიტეტი სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად იყენებდა ბალანსზე არსებულ 23-24 სამორიგეო ავტომანქანას. წლების შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ასევე სარგებლობდა საჯარო მოხელეების საკუთრებაში არსებული 115-145 ავტომობილით. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, მუნიციპალიტეტმა საანგარიშო პერიოდში გახარჯა 588 ტონა საწვავი,<sup>43</sup> მათ შორის, საჯარო მოხელეების საკუთრებაში არსებულ ავტომობილებზე გახარჯულია 404 ტონა საწვავი.

აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა ავტომობილებზე საწვავის ხარჯვის დოკუმენტაცია, მათ შორის, აგაი სისტემის მონაცემები. გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტს სათანადო კონტროლი არ აქვს დაწესებული საწვავის მიზნობრივ გამოყენებასა და რაციონალურ ხარჯვაზე, კერძოდ:

- 1) ავტოსატრანსპორტო საშუალებებში ერთჯერადად ჩასხმულია ავტომობილების ავზის მოცულობაზე მეტი ოდენობის საწვავი. სულ 2021-2022 წლებში გამოვლინდა 147 მსგავსი შემთხვევა, რა დროსაც ავტომობილის ავზში ჩასხმულია 10 ტონაზე მეტი საწვავი. აღნიშნული შეუსაბამობა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა აგაი სისტემით აღჭურვილი ავტომანქანისათვის განკუთვნილი საწვავით იმართება სხვა ტრანსპორტი, ჩიპის გადატანის შედეგად (იხ. დანართი №3);
- 2) ავტოსატრანსპორტო საშუალებებში 58 შემთხვევაში დროის მცირე მონაკვეთში საწვავი ჩასხმულია რამდენჯერმე, რაც მანქანების ავზის მოცულობებიდან და ტექნიკური მონაცემებიდან (წვის ნორმა) გამომდინარე, ფიზიკურად ვერ განხორციელდებოდა. ამ გზით სულ ჩასხმულია 2 ტონაზე მეტი საწვავი (იხ. დანართი №4);
- 3) საჯარო მოსამსახურეებმა 18 ტონაზე<sup>44</sup> მეტი საწვავი ჩაასხეს ისეთი მიმართულებით გადაადგილებისას, რომლებიც არ უკავშირდება

<sup>40</sup> საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 2.

<sup>41</sup> აგაი სისტემა - ავტომანქანის გამართვა და ავტომატური იდენტიფიცირება. სისტემა/საშუალება, რომლის გამოყენებითაც ავტორიზებული ავტომობილის ავზზე ავტოგასამართ სადგურზე იდენტიფიკაციისათვის მონტაჟდება სპეციალური ჩიპი (მეხსიერების ბარათი).

<sup>42</sup> საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, მუხლი 55, პუნქტი 2.

<sup>43</sup> 2021 წელს - 273 ტონა და 2022 წელს - 315 ტონა.

<sup>44</sup> გარდა დაფიქსირებული მოცულობისა, 94 ტონაზე მეტი საწვავი ჩასხმულია ქ. თბილისში მდებარე ბენზინგასამართ სადგურებში. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ მუნიციპალიტეტში არ მდებარეობს კონსოლიდირებულ ტენდერში

სამსახურში გამოცხადებას ან სხვა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას (იხ. დანართი №5<sup>45</sup>).

## დასკვნა

მუნიციპალიტეტის მიდგომა სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ, არარაციონალურია: მუნიციპალიტეტს არ აქვს მიღებული საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ნორმატიული აქტი მუნიციპალური ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის თაობაზე; საწვავის ხარჯვის პროცესში არსებული კონტროლის მექანიზმები სრულად ვერ უზრუნველყოფს მიზნობრივი ხარჯვის ეფექტიან კონტროლს. შედეგად, საწვავი გამოყენებულია არაავტორიზებულ ავტომანქანებზე, ასევე კონკრეტული მუნიციპალიტეტის ფარგლებს გარეთ, რაც წარმოშობს საწვავის არასამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენების რისკებს.

## რეკომენდაცია №5

მერიამ საკრებულოსთან შეთანხმებით განსაზღვროს კონტროლის მექანიზმები და შეიმუშაოს წესი, რითაც დარეგულირდება სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო სამორიგეო ავტომანქანების რაოდენობა; მერიამ დაწეროს კონტროლის დამატებითი მექანიზმ(ებ)ი საწვავის არამიზნობრივად ხარჯვის პრევენციის მიზნით; ასევე მიზანშეწონილია შეიმუშაოს სათანადო პროცედურები, მათ შორის, ალტერნატიულ პროცედურად შესაძლოა განხილულ იქნეს ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ინვენტარიზაციისას უფლებამოსილი პირების მიერ დამონტაჟებული საწვავის ჩიპების მთლიანობის შემოწმება; სამორიგეო ავტომობილების სამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენების მონიტორინგის მიზნით, კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით, ასევე შესაძლოა განხილულ იქნეს საკითხი სატელიტური (GPS) ან სხვა სახის ელექტრონული კონტროლის სისტემის დაწერვის შესახებ.

## 2.6 ორგანიზაციული და პერსონალის მართვა

### 2.6.1 დელეგირებული უფლებამოსილების დაფინანსება საკუთარი შემოსავლებიდან

**კრიტერიუმი:** მოქმედი კანონმდებლობის<sup>46</sup> თანახმად, სახელმწიფოს მიერ მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების დელეგირება შეიძლება სათანადო მატერიალური და ფინანსური რესურსების გადაცემით; ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა უნდა მოითხოვოს შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსი.

**ფაქტობრივი გარემოება:** 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტს დელეგირებული ჰქონდა ცენტრალური ხელისუფლების უფლებამოსილებების ნაწილი. აღნიშნული უფლებამოსილების განსახორციელებლად მიზნობრივი ტრანსფერის სახით მუნიციპალიტეტმა მიიღო 550.0 ათასი ლარი. გარდა მიზნობრივი ტრანსფერისა, 2021-2022 წლებში მუნიციპალიტეტმა გამოიყენა საკუთარი ფინანსური რესურსი და დელეგირებული უფლებამოსილების დაფინანსების მიზნით დამატებით დახარჯა 802.1 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა ძირითადად გამოყენებულია შრომის ანაზღაურების, ტრანსპორტისა და

გამარჯვებული ბენზინგასამართი სადგურები. შედეგად, თანამშრომლების მიერ გამოყენებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიასთან ახლომდებარე სადგურები.

<sup>45</sup> იმის გამო, რომ საწვავის ჩასხმის რაოდენობა მოცულობითია, დანართში მოცემულია მხოლოდ მაგალითების ნაწილი.

<sup>46</sup> საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მუხლი 17, პუნქტი 2.

სხვა ხარჯების დაფინანსების მიზნით, რომლის დაგეგმვა და გაანგარიშებაც მუნიციპალიტეტს შეეძლო წინასწარ.

მუნიციპალიტეტს დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისთვის საჭირო ფინანსური რესურსის გაზრდის მიზნით, შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურისთვის არ მიუმართავს. მუნიციპალიტეტის სამსახურებს არ უმსჯელიათ, შეემცირებინათ ხარჯები და საქმიანობა განხორციელებინათ დელეგირებული უფლებამოსილებისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსის ფარგლებში.

## დასკვნა

მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო დელეგირებული უფლებამოსილების განმახორციელებელი სამსახურების საქმიანობის დაგეგმვა და წარმართვა მისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსების შესაბამისად, რამაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებით 802.1 ათასი ლარის ხარჯი გამოიწვია.

### 2.6.2 დასუფთავების მიუღებელი მოსაკრებელი

**კრიტერიუმი:** ადგილობრივი მოსაკრებელი<sup>47</sup> არის აუცილებელი გადასახდელი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში, რომელსაც იხდიან ფიზიკური და იურიდიული პირები.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დადგენილებით<sup>48</sup> დააწესა დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი. დადგენილების შესაბამისად, მერია ვალდებულია უზრუნველყოს დასუფთავების მოსაკრებლის სათანადო ადმინისტრირება.

**ფაქტობრივი გარემოება:** დასუფთავების მოსაკრებლის სახით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მობილიზებულმა თანხამ 2021 წელს – 64.8 ათასი ლარი, ხოლო 2022 წელს – 162.7 ათასი ლარი შეადგინა. წარმოდგენილი მონაცემებით, მიღებული თანხები სრულად გადახდილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული იურიდიული პირების მიერ.<sup>49</sup>

მუნიციპალიტეტს არ გააჩნია დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელთა ბაზა, რის მეშვეობით შესაძლებელი იქნებოდა მისაღები შემოსავლის სრული აღრიცხვა. შედეგად, მუნიციპალიტეტში არ ფლობენ სრულყოფილ ინფორმაციას დასუფთავების მოსაკრებლის სახით მისაღებ შემოსავალზე. ამასთანავე, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დასუფთავების მოსაკრებლის სახით დარიცხულმა და გადაუხდელმა თანხამ 67.0 ათასი ლარი შეადგინა.

პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ბიუჯეტით პროგნოზირებული დასუფთავების მოსაკრებელი განსაზღვრულია წინა წლებში მიღებული თანხის გათვალისწინებით. არსებული პრაქტიკა შესაძლებელია სუბიექტური იყოს და მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს მისაღები შემოსავლებიდან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გადამხდელი იურიდიული პირების სრულად აღრიცხვის შემთხვევაში.

## დასკვნა

მუნიციპალიტეტს არ გააჩნია დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელთა ბაზა და ვერ უზრუნველყოფს მოსაკრებლის სათანადო ადმინისტრირებას. შედეგად, მუნიციპალიტეტმა სრულად ვერ მიიღო დასუფთავების მოსაკრებელი, რაც უარყოფითად აისახა ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლებზე.

<sup>47</sup> საქართველოს კანონი „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“, მუხლი 1.

<sup>48</sup> გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 თებერვლის №10 დადგენილება.

<sup>49</sup> დადგენილებით ფიზიკურ პირებზე გადასახადი განსაზღვრული არ არის.

**რეკომენდაცია №6**

მერიამ უზრუნველყოს დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელთა ბაზის შექმნა და წლის განმავლობაში მისაღები მოსაკრებლის ოდენობის გაანგარიშება, ასევე შეიმუშაოს და დანერგოს დასუფთავების მოსაკრებლის გადახდევინების ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსაკრებლის სახით მისაღები შემოსავლების ბიუჯეტში მობილიზებას. მათ შორის, შესაბამისი უწყებების ჩართულობით მიზანშეწონილია დაიწყოს მუშაობა მოსაკრებლის გადახდის ალტერნატიული და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვაზე, რაც შეამცირებს მოსაკრებლის ადმინისტრირებისათვის დახარჯულ რესურსს და ამასთანავე, გაზრდის ამოღების მაჩვენებელს.

**2.6.3 წარმომადგენლობითი ხარჯების ნაკლოვანებები**

**კრიტერიუმი:** მუნიციპალიტეტის გადასახდელელები ითვალისწინებს წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევას. კანონმდებლობის<sup>50</sup> მიხედვით, წარმომადგენლობითი ხარჯები მოიცავს მიღებების, წვეულებებისა და ღონისძიებებისათვის (პრეზენტაციები, ოფიციალური სადილები და ა.შ.), საექსკურსიო და კულტურულ-სანახაობითი ღონისძიებების, სუვენირების შექმნის/დამზადების, სატრანსპორტო მომსახურებისა და მგზავრობის, აგრეთვე სასტუმროს მომსახურების ხარჯებს.

მოქმედი კანონმდებლობით კონკრეტულად არ არის განსაზღვრული აღნიშნული ხარჯების გაწევის პროცედურა და მასთან დაკავშირებული პირველადი დოკუმენტაციის შედგენა: კერძოდ, სტუმრების მიღების ფორმა, მათი კატეგორია, გამასპინძლების ეტიკეტი და სხვ., თუმცა გონივრულობის პრინციპის გათვალისწინებით, საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურად და რაციონალურად ხარჯვის ვალდებულებიდან გამომდინარე, წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევა და მისი მიზანშეწონილობა უნდა იყოს დოკუმენტურად სათანადოდ დასაბუთებული.

**ფაქტობრივი გარემოება:** 2021-2022 წლებში მუნიციპალიტეტმა „წარმომადგენლობითი ხარჯების“ მუხლიდან, სტუმრების მასპინძლობისა და სხვადასხვა საბანკეტო მომსახურების შესყიდვის მიზნით გასწია 41.9 ათასი ლარის ხარჯი.

მუნიციპალიტეტის მიერ არ არის შემუშავებული შიდა ინსტრუქცია/წესი, რომელიც უზრუნველყოფდა „წარმომადგენლობითი ხარჯების“ მუხლიდან კვებით მომსახურებაზე თანხების რაციონალურად, ეკონომიურად და გამჭვირვალედ ხარჯვას.

2021-2022 წლებში მუნიციპალიტეტი წარმომადგენლობით ხარჯებს განკარგავდა მერის მიერ გამოცემული ბრძანებების საფუძველზე. საკითხის შესწავლით გაირკვა, რომ აღნიშნულ პერიოდში თანხები გახარჯულია 8 ღონისძიებაზე, თუმცა დოკუმენტებში არ არის მითითებული იმ პირთა რაოდენობა, რომელთაც მომსახურება მიიღეს.

**დასკვნა**

2021-2022 წლებში 41.9 ათასი ლარის წარმომადგენლობითი ხარჯის მიზანშეწონილობა მუნიციპალიტეტში დოკუმენტურად სათანადოდ არ არის დადასტურებული.

**რეკომენდაცია №7**

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიამ საკრებულოსთან შეთანხმებით, მიზანშეწონილია შეიმუშაოს შესაბამისი წესი, რომელიც უზრუნველყოფს

<sup>50</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 5 აპრილის №99 ბრძანებით დამტკიცებული, „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაცია“, თავი V.



წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევას რაციონალურად, ეკონომიურად და გამჭვირვალედ. აღნიშნული წესით უნდა განისაზღვროს სტუმრების კატეგორია, მიზანი, მიღების ფორმა, გამასპინძლების ეტიკეტი, ანგარიშწორებისათვის წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი და კონტროლის სხვა მექანიზმები, რაც ხარჯებს გახდის საჯაროს და შედეგზე ორიენტირებულს.

#### 2.6.4 მივლინების ხარჯის შეუსაბამობა

**კრიტერიუმი:** მუნიციპალიტეტმა საკუთარი ინტერესებიდან და საჭიროებიდან გამომდინარე, მოხელე შესაძლებელია გაგზავნოს მივლინებით<sup>51</sup> ქვეყნის ფარგლებს გარეთ. ფინანსური მართვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გაუმჯობესებისათვის, დაწესებულების მიზნების მისაღწევად და ამოცანების შესასრულებლად, თითოეული დაწესებულება შეიმუშავებს ფინანსური მართვისა და კონტროლის საკუთარ სისტემას. ფინანსური მართვა და კონტროლი<sup>52</sup> მოიცავს დაწესებულების საქმიანობასთან დაკავშირებულ როგორც ფინანსურ, ისე არაფინანსურ პროცესებს, ოპერაციებსა და ქმედებებს, რომლებიც უზრუნველყოფს სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენებას.

**ფაქტობრივი გარემოება:** 2022 წელს მუნიციპალიტეტმა წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების მოსამსახურეთა ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებისას, ერთჯერადად დახარჯა 12.3 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა დოკუმენტური მტკიცებულებები სამივლინებო თანხების ეფექტიანად გამოყენების შესახებ. კერძოდ, არ მომზადებულა რაიმე სახის ინფორმაცია, რაც დაადასტურებდა მივლინებით დასახული მიზნებისა და მიღწეული კონკრეტული შედეგების შეფასებას. შესაბამისად, სათანადოდ არ არის დასაბუთებული მივლინების საჭიროებაც.

გარდა ამისა, 2021 წელს მუნიციპალიტეტის თანამშრომლები მივლინებით იმყოფებოდნენ ქალაქ ბათუმში, სადაც მონაწილეობა მიიღეს ა(ა)იპ – საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციის მიერ ორგანიზებულ ტრენინგში. მივლინებების მიზანშეწონილობის შესწავლით გაირკვა, რომ 6 შემთხვევაში, მივლინებული პირების სამსახურებრივი პროფილი განსხვავდებოდა ჩატარებული სწავლების თემისგან.<sup>53</sup> სულ აღნიშნულ მივლინებებზე გახარჯულია 1.5 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტმა ვერ დაასაბუთა აღნიშნული მივლინებების მიზანშეწონილობა და მიღებული შედეგის ეფექტიანობა.

#### დასკვნა

მუნიციპალიტეტის მიერ შემუშავებული ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემები არ მოიცავს სამივლინებო ხარჯების ეფექტიანობის შეფასებას. 2021-2022 წლებში საჯარო მოხელეების მივლინებისთვის 13.8 ათასი ლარი დახარჯულია ისე, რომ მუნიციპალური საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით, მივლინების შედეგების პრაქტიკაში გამოყენება დოკუმენტურად არ დასტურდება.

<sup>51</sup> საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის №211 დადგენილება „პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“, მუხლი 2, პუნქტი 1.

<sup>52</sup> საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 6.

<sup>53</sup> განათლების, კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის სამსახურის ხელმძღვანელმა გაიარა ტრენინგი თემაზე: „ქონების მართვა“, სპეციალისტმა ინფრასტრუქტურის საკითხებში - ტრენინგი თემაზე: „პროგრამული ბიუჯეტი“, საკრებულოს აპარატის სპეციალისტმა ტრენინგი თემაზე: „პროგრამული ბიუჯეტი“, საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწემ ტრენინგი თემაზე: „ქონების მართვა“ და სხვ.

**2.6.5 ჩატარებული ინვენტარიზაცია**

**კრიტერიუმი:** მოქმედი კანონმდებლობის<sup>54</sup> მიხედვით, საბიუჯეტო ორგანიზაციაში აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყოველწლიურად, საბიუჯეტო წლის ბოლოს, გარდა უძრავი ქონებისა, რომლის ინვენტარიზაცია ხორციელდება სამ წელიწადში ერთხელ მაინც. ორგანიზაციაში ინვენტარიზაციის ჩატარების მიზნით, ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანება) საფუძველზე, იქმნება საინვენტარიზაციო კომისია.

**ფაქტობრივი გარემოება:** მუნიციპალიტეტს 2021-2022 წლებში არ ჩატარებია აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. შესაბამისად, არ განხორციელებულა აქტივების, ვალდებულებებისა და ასევე ბალანსის საცნობარო მუხლებში ასახული ფაქტობრივი ნაშთების დადგენა და ორგანიზაციის სააღრიცხვო მონაცემებთან შედარება; ასევე არ ჩატარებულა შემოწმება, ფინანსური და არაფინანსური აქტივების შენახვის/დაცვის წესებისა და პირობების და არაფინანსური აქტივების ექსპლოატაციის წესების დაცვის კანონთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

ორგანიზაციის საკუთრებაში არსებული ყველა აქტივი არ არის ჩაბარებული მატერიალურად პასუხისმგებელ პირზე. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტს არ აქვს დაწესებული სათანადო კონტროლი საკუთრებაში არსებული აქტივების მოძრაობაზე.

**დასკვნა**

ორგანიზაციული და პერსონალის მართვასთან დაკავშირებული ხარვეზების გამო, მუნიციპალიტეტმა დაარღვია სამართლებრივი აქტის მოთხოვნები ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის შესახებ. შედეგად, არსებობს მაღალი რისკი, რომ შეუმჩნეველი დარჩეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არაფინანსური და ფინანსური აქტივების, მატერიალური ფასეულობების შენახვისა და დაცვის პირობების დარღვევის, ასევე დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევები.

**რეკომენდაცია №8**

მერიამ განახორციელოს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით, რაც უზრუნველყოფს აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების დადგენას და მათ შედარებას ორგანიზაციის სააღრიცხვო მონაცემებთან. აღნიშნულის საფუძველზე შესაძლებელი იქნება ინვენტარიზაციის შედეგების დადგენა და შესაბამისი მატერიალურად პასუხისმგებელი პირების გამოვლენა. აღნიშნული გაზრდის მუნიციპალური აქტივების დაცულობის ხარისხს.

**2.7 საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების დაფინანსება**

**კრიტერიუმი:** მუნიციპალიტეტებმა უნდა დანერგონ ფინანსური მართვისა და კონტროლის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენებას.<sup>55</sup>

**ფაქტობრივი გარემოება:** მუნიციპალიტეტმა პროგრამის – „ჯანმრთელობისა და სოციალური რეაბილიტაციის ცენტრ „გარდაბანში“, თემის უსაფრთხო ცხოვრებისა და სიცოცხლის ხელშეწყობის“ განსახორციელებლად, 2021 და 2022

<sup>54</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესი“, მე-2 და მე-3 მუხლები; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის №364 ბრძანებით დამტკიცებული „ინსტრუქცია საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების და ინვენტარიზაციის შედეგების საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე აღრიცხვა-ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“, მე-2 და მე-3 მუხლები.

<sup>55</sup> „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 6, პუნქტი 1, „გ“ ქვეპუნქტი.

წლებში ხელშეკრულებები გააფორმა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებასთან, ჯამური ღირებულებით – 112.0 ათასი ლარი (წლიურად 56.0 ათასი ლარი). პროგრამის მიზანი იყო წვლილის შეტანა მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის უსაფრთხო ცხოვრებისა და სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესებაში, რომლის ფარგლებში დაიგეგმა შემდეგი ამოცანები:

- J) ჯანდაცვის მომსახურების მიწოდება და სერვისის განვითარება სოციალურად დაუცველი ფენებისათვის, მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში;
- J) მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება კატასტროფების მიმართ მოწყვლადობის რისკის შემცირებით.

მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა საკმარისი და შესაფერისი დოკუმენტური მტკიცებულებები, მომსახურე ორგანიზაციის მიერ რამდენად იყო განხორციელებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებები. ამასთანავე, მუნიციპალიტეტის მერიას პროგრამის ფარგლებში გახარჯულ თანხებზე არ განუხორციელებია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მონიტორინგი.

## დასკვნა

მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა ინფორმაცია, თუ რა შედეგი მიიღო საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებასთან გაფორმებული მემორანდუმით. ამასთანავე, არ არის შესწავლილი გახარჯული თანხების ეფექტიანობა და ღონისძიებების შესაბამისობა პროგრამით გათვალისწინებულ მიზნებთან.

## 2.8 საბიუჯეტო პროცესის ხარვეზები

**კრიტიკუმი:** საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის<sup>56</sup> თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულებას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს აღმასრულებელი ორგანო. საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მოიცავს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან. ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში უნდა მოიცავდეს განმარტებებს, თუ დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობა<sup>57</sup> 30%-ს აღემატება.

**ფაქტობრივი გარემოება:** მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული საბიუჯეტო პროცესი 2021-2022 წლებში გამოირჩევა ნაკლოვანებებით, კერძოდ, ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშები არ მოიცავს:

- J) განმარტებას პროგრამების მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის 30%-ზე მეტი შეუსაბამობის შესახებ;
- J) წლიური ბიუჯეტით დასახული პრიორიტეტების ფარგლებში საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროგრამების/ქვეპროგრამების აღწერას და მიღწეულ შედეგებს;
- J) მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტების შესრულების წლიურ მაჩვენებლებს.

<sup>56</sup> საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 7, „გ“ ქვეპუნქტი.

<sup>57</sup> საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 87, „დ“ „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტები.

## დასკვნა

2021-2022 წლების საბიუჯეტო პროცესი მუნიციპალიტეტში ნაწილობრივ მიმდინარეობდა ხარვეზებით და არ შეესაბამებოდა საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

## 2.9 სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხები

**კრიტერიუმი:** სასამართლო წარმოებაში სარჩელის მიღების შემდეგ, მოპასუხე ვალდებულია სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში სასამართლოს წარუდგინოს თავისი პასუხი (შესაგებელი) სარჩელსა და მასში მითითებულ საკითხებზე.<sup>58</sup>

მოპასუხის მიერ დადგენილ ვადაში აღნიშნული საპროცესო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში,<sup>59</sup> სასამართლო მტკიცებულებათა გამოკვლევისა და შეფასების გარეშე აკმაყოფილებს სარჩელს და ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება.<sup>60</sup>

**ფაქტობრივი გარემოება 1:** 2019 წლის 25 აპრილს მუნიციპალიტეტის მერიასა და ამხანაგობა „ენკას“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება<sup>61</sup>, ღირებულებით – 2,799.9 ათასი ლარი. 2020 წლის 12 მარტს მხარეებს შორის გაფორმებული საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით მიმწოდებელმა შეასრულა 2,766.3 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოები. ხელშეკრულებით გათვალისწინებული გეგმა-გრაფიკის დარღვევის გამო, ამხანაგობა „ენკას“ დაეკისრა პირგასამტეხლო 515.1 ათასი ლარის ოდენობით. საბოლოო ანგარიშსწორებისას მუნიციპალიტეტმა მიმწოდებელს დაუკავა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად პირგასამტეხლოს სახით დარიცხული თანხა და აუნაზღაურა 2.251.1 ათასი ლარი. მიმწოდებელმა სასამართლოში შეიტანა სარჩელი და მუნიციპალიტეტს 515.1 ათასი ლარის გადახა მოსთხოვა. მიმწოდებლის სარჩელის მიღების შემდეგ, მერიას სასამართლოს მიერ განესაზღვრა 10-დღიანი ვადა სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე პასუხის გასაცემად (შესაგებლის წარსადგენად). მერიამ არ შეასრულა მისთვის კანონმდებლობით დადგენილი საპროცესო ვალდებულება და სასამართლოს მიერ დადგენილ საპროცესო ვადაში არ წარადგინა შესაგებელი.<sup>62</sup> სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი და მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება მიმწოდებლისათვის 520.0 ათასი ლარის ანაზღაურების შესახებ.<sup>63</sup>

**ფაქტობრივი გარემოება 2:** 2017 წლის 7 დეკემბერს მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე მერის მრჩეველი ეკონომიკურ საკითხებში გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. პირმა მიმართა სასამართლოს და მოითხოვა გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, მრჩეველის ან სხვა ტოლფას თანამდებობაზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება. სასამართლოს გადაწყვეტილებით,<sup>64</sup> მერის მრჩეველი თანამდებობიდან გათავისუფლდა უკანონოდ,<sup>65</sup> სამართლებრივი დასაბუთების გარეშე. გათავისუფლების შესახებ ბრძანება, როგორც კანონსაწინააღმდეგო,

<sup>58</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 201-ე და 232<sup>1</sup> მუხლები.

<sup>59</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2016 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება, საქმე №ას-121-117-2016. 32-ე პარაგრაფი.

<sup>60</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი. რჩეული მუხლები. თბილისი, 2020 წელი. დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება მოპასუხის მიერ შესაგებლის წარუდგენლობის გამო. გვ. 843-853.

<sup>61</sup> NAT190003518.

<sup>62</sup> შესაგებელი წარდგენილ იქნა სასამართლოს მიერ დადგენილი 10-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ – მოპასუხეს შესაგებლის წარდგენის ვალდებულება ჰქონდა 2020 წლის 26 ოქტომბერს და წარადგინა 2020 წლის 4 ნოემბერს.

<sup>63</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილება, საქმე №ას-146-2022. ჯარიმის თანხას დაემატა სახელმწიფო ბაჟის ხარჯი.

<sup>64</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 27 ნოემბრის განჩინება, საქმე №ას-1027-2022.

<sup>65</sup> პირის საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის პერიოდში.

დასკვნა

ცნობილ იქნა ბათილად და გარდაბნის მუნიციპალიტეტს მოხელის სასარგებლოდ კომპენსაციის სახით დაეკისრა 14.0 ათასი ლარის ანაზღაურება.

სასამართლო დავის მიმდინარეობისას, მუნიციპალიტეტის მიერ საპროცესო ვალდებულების შეუსრულებლობის გამო (შესაგებლის წარუდგენლობა), სასამართლომ მტკიცებულებათა გამოკვლევისა და შეფასების გარეშე მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რითაც მერიას დაეკისრა მიმწოდებლისათვის 520.0 ათასი ლარის გადახდა; ასევე კანონმდებლობის შეუსაბამოდ მიღებული სხვა გადაწყვეტილების შედეგად, მუნიციპალიტეტმა ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებით გასწია 14.0 ათასი ლარის ხარჯი.

2.10 წინა პერიოდში ჩატარებული აუდიტის შედეგად გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების მდგომარეობა

**ფაქტობრივი გარემოება:** სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა 2020 წელს ჩაატარა გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის ობიექტმა გაატარა ღონისძიებები და წარმოადგინა ინფორმაცია წინა აუდიტის ანგარიშში ასახული ზოგიერთი ხარვეზის გამოსწორების შესახებ. ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა არ განახორციელა სათანადო რეაგირება და განმეორებით დაუშვა ზოგიერთი დარღვევა, რომელიც აღწერილია წინამდებარე აუდიტის ანგარიშში, კერძოდ:

- მუნიციპალიტეტს კვლავ გააჩნია საკუთარ ანგარიშზე არსებითი მოცულობის ნაშთები;
- არ არის მოწესრიგებული მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების საკითხი;
- ზოგიერთი ინფრასტრუქტურული ობიექტი დაზიანებულია, რაზეც მერიას არ ჰქონდა განხორციელებული შესაბამისი ღონისძიებები;
- არ არის შესწავლილი ზოგიერთი იურიდიული პირის ფუნქციონირების აუცილებლობის საკითხი;
- კვლავ არარაციონალურად იხარჯება სატრანსპორტო საშუალებებისათვის გამოყოფილი საწვავი;
- მუნიციპალიტეტმა საკრებულოს არათანამდებობის პირების ხარჯები ანაზღაურა საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ;
- ინვენტარიზაცია არ არის ჩატარებული მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით.

მნიშვნელოვანია, რომ აუდიტის ობიექტმა დაგეგმოს და განახორციელოს საჭირო ქმედებები აუდიტის ანგარიშებში ასახული დარღვევა-ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის და მომავალში არ დაუშვას მათი განმეორება. აღნიშნული აუცილებელია საჯარო დაწესებულების ინტერესების დაცულობისა და საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვისათვის.

აუდიტორები

ბადრი ჯანჯღავა  
მთავარი აუდიტორი  
  
ირმა ხეცურიანი  
უფროსი აუდიტორი

ხელმოწერა




2023

ილია ლომაური  
უფროსი აუდიტორი

პაატა კუბლაშვილი  
აუდიტორი

ქეთევან მაჩაიძე  
აუდიტორ-ასისტენტი



დანართები

დანართი №1

გარდაბნის მუნიციპალიტეტში დაზიანებული ინფრასტრუქტურული პროექტები (ათასი ლარი)

№	პროექტის დასახელება	ღირებულება	მიმწოდებელი	NAT/CMR	გამოვლენილი ხარვეზები
1	სარიტუალო დარბაზის სპორტდარბაზად გადაკეთება-მოწყობა	113.2	შპს „ურიში“ 405039060	NAT210008800	ჩამოცვენილია საღებავი, კედლებს აღენიშნება ბზარები.
2	N2 საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა	89.7	შპს „გიკო“ 424065914	NAT210001541	გზა დაზიანებულია-დაბზარულია, ეზოში წყალი დგება.
3	N3 საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა	168.2	შპს „გიკო“ 424065914	NAT210001541	ეზოში წყალი დგება.
4	N5 საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა	163.1	შპს „გიკო“ 424065914	NAT210001541	გზას აღენიშნება წვრილი ბზარები, ეზოში წყალი დგება,
5	ძიუდოს დარბაზის რეაბილიტაცია	85.5	შპს „სმარგი“ 416347821	NAT210008794	წყალი ჩამოდის და ჭერიდან იყრება საღებავი.
6	სპორტული დარბაზის რეაბილიტაციის სამუშაოები	151.1	შპს „ბიარსი“	NAT210001543	ეზოში ბეტონის საფარის გარკვეული ნაწილი აცვენილია, ასევე რიგ ადგილას აღინიშნება მნიშვნელოვანი ბზარები
